

ნაკადული

საქართველოს
საზოგადოებრივი

საყვანვეთო ჟურნალი



მცირე ზღოვანთათვის

შ ი ნ ა ა რ ს ი:

- 1 ლომი და კურდღელი 313
- 2 მერცხლები 315
- 3 დაბადების დღე პატარა ხელმწიფისა 319
- 4 სახლისა სამუშაო და გასართობი:
 - ა) დამატყვევებელი რგოლი, ბ) შარადა, გ) ხალხური, დ) ახსნა . . . 331
- 5 პატარა მკითხველის წერილები . . . 335

№ XII

ს ზ რ ი ლ ი

1905

ტფილისი

ილევკრონის სკამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხანაგობის

1905



საქართველოს
ხალხთა ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою 26-го апрѣля 1905 г. Тифлисѣ





საქართველო
საბავშვო ლიტერატურა

ლომი და კურდღელი



ოკორდაც მოხდა, რომ კურდღელს
ლომი შევობრად გაუსდა;
შინც მიიწვია, გასინჯეთ,
და მასწინძლურად დაუსკდა.

მოუკვა მეფეს კურდღელი
ამა და იმ შთის ამბებსა;
გაუთამამდა იქამდის,
არც კი ისრინდა წარბებსა.



— მართალია? ბოლოს რქვა:
„ნადირთ ჭქონიათ ომიო,
და, თურმე, მამაღს ბოსი სმით
შორს უფრენია ლომიო?“



— მართალიაო! მან უთხრა:
 „უნდა გავიტყუე, მიკვიროსო,
 რომ რაღაც ხნე და სისუსტე
 გვჩირს უველა დიდრონ ნადიროსო!..“

„აი, ბვიდოთ, თუნდ სწილო,
 აბა რაში აქვს მას წუნი!
 მავრამ თავ ზარს სცემს, აშინებს
 იმასაც ღორის ღრუტუნი!..“

— ეკ რაა კიდევ! მეტს ვამტყვი;
 მეფევე, სარწმუნო იუბეი,
 რომ მეც მაშინებს ხანდა და ხან
 მწვეარ მეძებრის წკაფ-წკაფი!..“

თეოდ. კანდელაკი.





მერცხლები

ესა ჰატარა მეგობრებო, მინდა გიამბოთ ერთი ჰატარა ამბავი და იმედი მაქვს, ეურს კარგა დაძიგდებთ. მე სმირად მიდევნებია თვალი ლამაზ მერცხლებისათვის, რომელნიც გასაფხულსუდ სასიამოვნო ჭიკჭიკით მოფრინდებიან სოღმე ჩვენ დერეფანთან და დერეფნის ქვეშ მარდად აძენებენ თავის ბუდეებს. ჯერ მოაქვთ ნისკარტით ლაფი, რომლითაც მცოდნე კალატოზებსავეთ ამოჭეაუთ თავისი ბუდის კედლები და როდესაც მოიძაღებენ კალათსავეთ მრგვალ ლამაზ ჰატარა სადგურს, მოაქვთ ბუმბული, გერმა, წმინდა რბილი ბალახი და ბუდის ძირში ჭეფენენ, რომ რბილად შექმლოთ შიგ ჩაწოლა. მერცხლები ერთმანეთში ძალიან მეგობრები არიან და მთელი დღე დაუსარებლივ ერთად მუშაობენ. ესენი წვეილ-წვეილად ცნოვრობენ თითო ბუდეში, ესე იგი ცოლ-ქმარნი და მეგობრულად მოულობენ ერთმანეთისათვის საზრდოს, სხედან კვერცხებსუდ რიგ-რიგათ შვილების გამოსახეკად; როდესაც ბღარტებს გამოსჩეკენ, უფრო უმატებენ მუშაობას, რომ საზრდო უპოვნონ თავიანთ შვილებს და თითონაც მძივრები არ დარჩენენ. ამიტომ ეს ჰატარა მოჭიკჭიკე ფრინველები მთელი დღე ჰაერში ნავარდობენ, იჭერენ ბუსებს, ჰეპელებს, ჭიკელებს, და მოაქვთ ნისკარტით თავიანთ შვილებთან, რომელნიც გაფაციცებით უწვდიან თავიანთ ჰატარა ნისკარტებს ერთგულ დედამას. ეს ჰატარა ბარტეები ჰირველში საცოდავეები და ძალიან

ულამაზონი არიან, რადგან მათ არ უხანთ თვალები და არც ბუმბული აქვთ. ამათ ჭამის მეტი ჯერ არა იციან რა ჯერ უნდა ზეინ ბენ თუ არა ბუდესთან სმაურობას, მაშინვე გამოიწვიდნენ სოღმე თავიანთ ევითელ ნისკარტებს საზრდოს მისაღებად. მავრამ,



ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც მოიზრდებიან, გადმოჭეოფენ მავ-მოლურჯო თავებს და ძალსაჲ, ლამაზ თვალებით სასიამოვნოთ გადმოიუფრებიან ბუდიდგან; მაშინ მძვენეირი სახახავები არიან. ერთსელ მერცხლის ბარტეებს ერთი უბედურება მოუხდათ: ძალიან ცხელი საფხული იყო და მერცხლის ბუდეები ძალიან გამხმარივნენ გვალვისაგან. სწორედ ამ სიცხეში ამოვანდა საშინელი ქარი და სრულიად ჩამოანგრია რამდენიმე მერცხლის ბუდე, რომელშიაც იყოფებოდნენ სრულიად ჰატარა ბარტეები. საწვალდი ჰატარები მაშინვე დაიხოცნენ გარდა ერთისა, რომელიც სხვებსგად მოზრდილი იყო, თუმცა ჯერ ფრენა არ იცოდა და

თავსარ დაცემული საცოდავად წიოდა. დედ-მამაც ამ დროს
 შინ არა ჰქვანდა. მე ძალიან შეძეცოდა ჰატარა ბარტყის
 აღარ ვიცოდი, რით მეშველა; ბოლოს ერთმა ახრმა გაძირბინა
 თავში, რომელიც მაშინვე აღსრულებასში მოვიყვანე: ავიყვანე
 საცოდავი ბარტყი და სსვა მერცხლის გადარჩენილ ბუდეში
 ჩავსვი. მერე შევედი შინ და გულის ფანცქალით დაუწვე
 ფანჯრიდან თვალის დევნა - თუ რას უხამდენ და როგორ
 მიიღებდენ შინ დაბრუნებული მერცხლები უცხო ბარტყს.
 რამდენიმე წუთის შემდეგ ამ ბუდესთან მოფრინდა ერთი მერ-
 ცხალი და გაუწოდა შვილებს მოტანილი საჭმელი, მკრამ,
 დაინახა თუ არა უცნობი ბარტყი, მაშინვე დაიჭვივლა მო-
 შორდა ბუდეს და აღარავის მისცა საუსმე. მერე უფრო
 მოუძატა აღმოფოთებით ჭვივილი და ფრენა, ისე რომ იმის
 ჭვივილზე მოფრინდენ ბევრი სსვა მერცხლებიც, იმათ მოჭ-
 ვენენ სსვები, იმათ კიდევ სსვები და ამგვარად შეკრბა მთელი
 გუნდი მერცხლებისა. ამათ ბევრი იტრიალეს ბუდესთან,
 იშფოთეს და მერე ჭიკ-ჭიკით შესდნენ იქვე ახლო სვებზედ,
 თითქოს ერთმანეთს ვკითხებოდნენ, თუ როგორ მოქცეულიყვნენ;
 ამ დროს უეცრად ერთი მათგანი აფრინდა, დაიჭირა რაღაცა
 ჰატარა ჭია, მიფრინდა ბუდესთან და ჰირველსავე დანახულ
 ბარტყს ჩაუღო ჰირში. ეს რომ დაინახეს სსვა მერცხლებმა,
 უეცრად სუუველანი წამოფრინდნენ და ერთი ერთმანეთს აღარ
 აცდიდნენ ბუდესთან საჭმლის მიტანას. ერთი და ორი მერ-
 ცხლის ძაკვირად ოც მერცხალს მოჭქონდა საჭმელი იმ ბუდესთან,
 რომელშიაც სსვის ბარტყი იჯდა. ამ დღიდან ეოველთვის ასე
 შეგობრულად და დაუზარებელივ მრავალ მერცხალს მოჭქონდა
 სასრდო ჰატარა ბარტყისთვის და მის დარქმეულ და-მმისთვის,
 რომელნიც ნელ-ნელა ისრდებოდნენ.


რასაკვირელია მერცხლები მეტ ჯაფაში იყვნენ, მკრამ ამ
 გასჯას ისინი აინუნშიაც არ იგდებდნენ და მსიარულად ასრუ-

ლებდნენ თავიანთ მოვალეობას. საღამოობით, როდესაც დასასრული სველებლად შემოსხდებოდნენ დერეფნის კრდოსკად, სასიამოვნო იყო იმათი მსიარული, მეგობრული ჭიკჭიკი. თითქოს ერთბაშის უამბობდნენ, როგორ და რა მუშაობაში გაატარეს მთელი დღე. ამის შემდეგ, კარვად რომ დაბინდებოდა, შემოსხდებოდნენ ხოლმე თავიანთ ბუდეზე და დასაძინებლად ფრთის ქვეშ ჩაჭმალავდნენ თავებს.

გაიარა რამდენიმე დღე ამ უბედურების შემდეგ, როდესაც დავინახე, რომ აქვე ჩვენ დერეფანთან რამდენიმე მერცხალი აშენებდა ერთ ბუდეს. ამ ბუდესთან მოჭიქნდათ ლაფი, ბუძბული, ჩაღა და სხვა. არა თუ მარტო ორ მერცხალს, აქ მოჭიქნდათ ეს მასალა ათ-ათორმეც მერცხალს, რომელნიც მეტის სიძარდით და გაფაციცებით მუშაობდნენ ამ ხატარა ბუდეზე. ამათ ერთ დღეში ააშენეს მშვენიერი კოაწია ბუდე. მე თუმცა აზრით მივსვდი რომ ესენი უშენებდნენ ბუდეს იმ საცოდავ დედ-მამას, რომლებსაც ბუდე დაეშალათ და ბლარტებიც გაუწუდათ, მაგრამ დარწმუნებული კი არ ვიყავი, ვიდრე არ დავინახე, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც ჩემმა ნაცნობმა ბარტეებმა ფრენა ისწავლეს, ერთი იმათგანი მამინვე დედ-მამამ გაიფანა ახლად აკებულს ბუდეში და მათ სინარულს არა ჭიქნდა სახლვარი. იმ ბუდესთან იმისთანა ჭიკჭიკით დაფრინავდნენ სხვა მერცხლებიც, თითქოს ულოცავდნენ ბედნიერებას თავიანთ მეგობრებს.

ს. ზ. ანდრონიკაშვილი.





დაბადების დღე ჰატარა ხელმწიფისა

(თარგმანი)



ილაა ჯერ სასახლეში ეველას სძინავს, თუცა შუე უკვე ძაღლბაა წამოსული და სსივებსა სცემს დარბახის ფანჯრებს, მეტადრე ერთ განაპირა ოთახის ფანჯრებს. მშვენიერია ეს ოთახი! კედლები ცისფერი ატლასით აქვს გაკრული, იატაკი-

მშვენიერი საფეხებით დაკეპული, ფანჯრებ შუა ჭერამდე დიდრონი სარკეებია აუედებულები, შუა ოთახში აძართულია ბაღდასინი, კოსტა ძვირფას არძიებით მორთულ საწოლის დასაფარავად. სუდ შვიდი წლის ლამაზი ბავუში წევს; წაბლის ფერი სუჭუჭი თმა ბაღიშუედ გადაჭყენია, ჰაწია პირი ოდნავ გაულია, ლოკები გასწითლებია; ძილში იღიმება და თან გაუკებრად რაღაცას ბუტბუტებს.

ეს ბავუში—უკვე დიდი პიროვნებაა: თავის ჰაპის, საფრანკეთის მეფის, ლუი მეთათსმეტის სიკვდილ შემდეგ მეკვიდრედ დარწა, აღვიარებულ იქმნა საფრანკეთის მეფედ, ლუი მეთსუთმეტედ.

მეორე ოთახში საათმა შეიდი დაჭკრა. ეძაწვილმა თვალები
გახსილა, წამოიწია და მიიხედა მოისედა.

— შეიდი საათია და ის ზირღია ანტუნანიკი არცაჲ
ფიქრობდა ჩემ ვადვიმებას;—წაილაპარაკა თავისთვის და გაი-
ხედა ოთახის ერთი კუთხისკენ, სადაც სკამზე მჯდომ მის
მოსამსახურეს ტკბილად ჩასმინებოდა. ანტუნან, ანტუნან!—
დაუძახა ბავშვმა. შეძინებული ანტუნანი ფიცსლავ წამოსტა და
მივიდა მეფის საწოლთან. რა ნებაჲს თქვენ დიდებულებას?



— მე გუძინვე კიბრძანე, ექვს საათხედ უკვკელად გაბე-
ღვიბინე; აბა გარეთ გაიხედე, თოვლი მოსულა?

მოსამსახურემ გადასწია ფარდა და შხემ ერთი-ორად შემო-
ანათა სასლში.

— დიდა, თოვლი მოსულა, ბატონო, მთელი ბაღი თეთრად
გადაწეტილა.

— მართლა?! სისარულით წამოიძხვრა უძაწილმა, საწოლიდამ და მიიბრინა ფანჯარასთან.

— ხელმწიფე, ხელმწიფე, ნუ ინებებთ მაგას, — მიძართა შეშინებულმა მსახურმა, — გაცვიდებით, მიბრძნდით ლოკინში. მაგრამ მეფეს არაფერი ესმოდა, სან ერთს ფანჯარას ეცემოდა ტაშის კვრით, სან მეორეს;

— თოვლი მოსულა, თოვლი!, შეჭვირბ ერთი კიდე, გაქეხნა და კისერზე ჩამოკვიდა ანტუნს. ძლივ-ძლივობით მიიუკანა მოხუცმა ბავშვი ლოკინთან, თან უსაუვედურებდა:

— როგორ შეიძლება ესეთი საქციელი, რას იტყვის ჭერცოვი დევილრუა?

ჭერცოვი დევილრუა მეფის აღმსრდელი იყო და ლუის ძალიან უშინოდა მისი.

— აბა, ჩამაცვი, რომ ჩქარა წავიდე ბაღში, უბრძანა მსახურს.

— ბაღში? ასე ადრე? ჭკითსა გაოცებულმა მოხუცმა.

— დიად, დიად, ბაღში, განა არ იცი დღეს რა დღეა?

— არა, არ ვიცი, მეფეო!

— დღეს არის დღე ჩემი ზირველი გამარჯვებისა: თერთმეტ საათსედ უნდა შევებრძოლო ჩემს ბიძაშვილს და გამარჯვებულად მე დავრჩები რასაკერვლია, რადგან ჩემს ჯარს სასასლავში მცხოვრები ბაღლები შეადგევენ, იმან-კი სულ ქუჩებში მოკრიფა ბიჭ-ბუჭები.

რა იარაღი გაქვთ ამორჩეული საბრძოლველად, მეფე? — იარაღი? რა კითხი უნდა, თოვლის გუნდები; ამიტომ მიხდა ჩქარა ჩავიდე ბაღში და ვნახო, შეასრულა, თუ არა განხარება ჩემი ბრძანება.

— რა უბძანეთ განხარს?

— უბრძანე რომ რაკი მოვიდოდა თოვლი, — მოესვენა და შეენახა სარდაფში ძალიან ბლომად; გარდა ამისა ჩაეკეტა

ბალის კარები და არ შეეშვა ჩემი მოწინააღმდეგის ვაძულები.

— ოჰ, შორს მსედველი სარდალი ბრძანებულსართ მსედველი!

— მე ვუჩვენებ როგორი ლაშქარი შეავს და როგორი სარდალი ვარ! ჩამაცვი ჩქარა, ჩქარა!

— უკაცრავად, მეფეო, ცოტა უნდა მოითმინოთ.

— რა დროს მოთმენა?

— კარგად მოგვსენებათ, რომ რვა საათსედე ადრე ვერ გაგაღვიძებთ. ჭერცოვის ბძანება გასლავთ.

— აა! ამიტომ არ გაძაღვიძე! ბებერმა ჭოტმა აგიკრძალა? კარგი მამ, იმისი ბრძანება სომ შესრულე, ასლა მე კიბრძანებლუი მეთხუთმეტე.. აბა, ჩამაცვა!

შეუძლებელია, მეფეო.

— სომ არ გაგეძდი,

— შეჭკვირა ემაწვილმა: გონს მოდი, ვის უბედავ? მე შენი სელმწიფე ვარ!

შეუძლებელი გასლავთ წენარად განუყორა მსახურმა.

— ღმერთო ჩემო, როგორი მეფე ვარ, რომ ლოკინიდამ ადგომის ნებასაც კი არ მამლევენ, — წაილანპარაკა ცრემლ-მო-რეულმა ბავშვმა. ამ დროს კარი დაარაკუნეს. ანტუანი ფიცსლავ გავიდა და ცოტა ხნის შემდეგ მოისმა მისი სმა: მათი უკანათლე-ბულესობა — ჭერცოვ დე-ვილრუა.

მაღალ-მაღალი, სასტიკი სახის გამომეტეველების ამეი შესედეულობის მოხუცი მევიდა მეფის საწოლ ოთანში, მივიდა დაიხოქა ცალ მუხლზე და წარმოსთქვა: მეფეე! ნება მიბოქეთ თქვენი დაბადების დღე მე ჰირველმა მოკილოცოთ, ღმერთი იეოს თქვენი მეარველი თქვენ ქვემევერდომთა საკეთილ-დღეოდ. ამ სიტყების შემდეგ ჭერცოვი სელზე ემთხვია მეფეს.

— ჭერცოვო! შეიძლება ბაღში ჩავიდე, — ჭკითხა უცებ თავ-ჩალუნულმა ჰატარა მეფემ.

— რა ბრძანეთ, სელმწიფეო?

— შეიძლება ბაღში ჩავიდე? იქ, იცით, ბრძოლა...
 თოვლიც სომ... გასწავროს იქნება დაავიწუდა კიდეც ჩემი...

— ოჰ, რა სათქმელია! — შუბლის შეჭმუსუნით წარმოსთქვა ჰერცოგმა: თქვენ დიდებულებას მსოფლიოდ თამაშობა და სიცვალქე აგონდება; დღეს შევისრულდათ შეიდი წელიწადი, უსუსური ბაღლიკი აღარა ხართ, ახლა უფრო გონივრულ საქმეს უნდა იფიქროთ.

დაიწუბოს და საღამომდის აღარ გაათავებს, — გაიფიქრა ემაწვილმა.

— მეფე, გთხოვთ ნახევარ საათი მიწებალობით; დღეს უნდა მიბრძანდეთ ჰარლამენტში და წარმოსთქვათ სიტყვა იმის შესახებ, რომ სასელმწიფოს მართველად ჰინიშნავთ ჰერცოგ ორლენელს.

ახალი ამბებია, — ჰარლამენტი... მმართველი, სიტყვის წარმოთქმა... მე არაფერი მესმის! ფიქრობდა თავისთვის ჰატარა მეფე, მაგრამ სმა აღარ ამოუღია, გაჩუქდა.

ახა დაბმანდით, სელმწიფე, და გაიმეორეთ, რასაც მოაგასენებთ.

ბავშვი დაჯდა დაღვრემილი და ფანჯრისკენ იწყო ცქერა.

გაიმეორეთ: ჩვენ, ნებითა ღვთისათა, მეფე საფრანგეთისა და ბავარიისა... — ჩვენ, ნებითა ღვთისათა, მეფე საფრანგეთისა და ბავარიისა. — უკულოდ იმეორებდა ემაწვილი... უცებ ანტუანს მიუბრუნდა და საჩქაროდ უთხრა: — შენ მანც უბრძანე გასწავროს, რომ ბაღის კარები დაკეტოს, — აკერ ვსედავ კიდეც, რომ ვიღაცა ბიჭი მირბის...

— მეფე! ფესების ბრახუნით და ხმის ამაღლებით მიმართა ჰერცოგმა; გაფიცებით რომ არამც თუ დღეს, მთელ კვირას ვერ ჩახვალთ ბაღში!

ბავშვს შეეშინდა, მობრუნდა და ისევე სიტყვების გამეორება იწყო. ნახევარ საათის შემდეგ კიდეც დაისწავლა მთელი

სიტყვა; სასტიკი აღმწრდელი წავიდა თუ არა, ეძიებოდა
 სისარულით შესძახა: ახლა-კი ბაღისკენ, ბაღისკენ
 ანტუანმა გააღო კარი და ოთახში შემოვიდა ოთხი თვალი
 მეფის ნათესავნი, რომელთაც მოჭკონდათ ბალიშზე დაღაგებუ-
 ლი ტანისამოსი-პერანგიდამ დაწვებული-ქუდამდე და სძალამდე.
 დაიწყო ჩაცმა მეფისა: ერთი თვალი აწვიდა პერანგს, მეო-
 რეს სეღში ჰირსახოცი ეჭირა, შესამეს ტაშტი და მეოთხე
 წებლს უსწავდა. ცოტა ხანს უკან კიდევ შემოაღო კარი ან-
 ტუანმა და დაიძახა: მომღვარი მათი დიდებულებისა და აღმწრ-
 დელი ქალი. უკანასკნელის სსენებასეგ ბავშვმა თმის ვარცხნას
 თავი ანება, გაექანა და კისერსეგ ჩამოეკიდა ახლად შემოსულს



ქალს; იგი ითვლებოდა მეფის აღმწრდელად და ისე შეიჩვია
 და შეაუვარა თავი ეძიებოდა, რომ დედან ეძახდა, მით უმეტეს,
 რომ ბავშვს თავისი ნამდვილი დედა არც-კი ახსოვდა.

ძლივს არ მოხვედით, დედიკო!.. მე რომ ბაღში ვიქნებოდა, ვიქნებოდა, ვიქნებოდა...
 ვებენ! — გასწავლა იქნება კარებიც არ ხაკეტა! ჰერცოგის მსახურს ვიქნებოდა!

— ნელა, ნელა, მეუფე, შეაწვევტინა აღმწრდელმა ქალმა: არც-კი დამაცალეთ, რომ მომელოცნა, ჩაიხედეთ სარკეში, როგორ აიწვეწეთ თმა.

ჰო, ავიწვეწე... ბაღში რატომ არ მიშვებენ!

— მოითმინეთ, დამშვიდდით, ვეელაფურს მოესწრებით. უეურეთ, როგორ ტანისამოსს ჩაიცვათ დღეს, ჯერ არ გცმიათ ასეთი.

— უეურეთ! მართლა! ოქროთია ნაკერი, შესძახა გახარებულმა ემაწვილმა: ქამარს კიდე ბრილიანტები უსხედს, — ნამდვილი ბრილიანტებიოკია? დედა, შენც მახუქებ რასმე დღეს?

— მე, მეუფე, თქვენი ქვეშევრდომი ვარ და ნება არა მაქვს საჩუქარი მოგართვათ.

— საფრანგეთში ვეელანი ჩემი ქვეშევრდომები არიან და მამ არავენ რას მახუქებს? — წამოიძახა ბაღლმა. ვეელას გაეცინათ.

— სამაგიეროდ, ვეელა თქვენი ქვეშევრდომი მხად არის შემოგწიროთ სიცოცხლე, — მოახსენა მომღვაწმა.

ანტუანმა კიდევ გააღო კარი და ახალი, სხვა მომლოცველინი შემოვიდნენ. მეუფემ არავითარი უურადლება არ მიაქცია მათ, რადგან საჩუქრების ფიქრში იყო გართული.

— მე კი მეგონა, დედა, რომ დიდ ხის ცხენს მახუქებდი, შუშის თვალებიანს, როგორც ჩემი ბიძაშვილისას ვნახე.

— თუ მოვწონთ ისეთი სათამაშო საჭიროა მხოლოდ ბძახება და მოგერთმევით — უთხრა აღმწრდელმა ქალმა.

არა... მე აგრე არ მინდა... მე მინდა, რომ შენ, შენ მახუქო... საკვირველია! ვეელას მიუტანენ დაბადების დღეს საჩუქრებს და მე-კი... არაფერს!

— არა, მეუფეო, სცდებით, ესლასან გაახლათ უწმინდესი ზანისაგან საჩუქრებით ელჩი.



მართლა?! ნეტა რას მომიტანდა? იქნება ნავიღ ^{ერეკლევიჩი} ^{გაბრიელისა}
 ჰატარა ნინებოთ, ან თეთრ-ცხენებიანი ჰატარა ეტლი, ან კიდევ
 მამიუნნი,—მე რომ მინდოდა?!—ოცნებობდა თავისთვის უმაწვი-
 ლი —მაგრე გამოცნობას, არა სჯობია, ჩაიცვათ, ძაღუ, მიიღოთ
 ელჩი, და თვითონ ნასოთ საჩუქარი!—მოახსენა აღმზრდელმა.

— მამ აბა, ჩამაცვით, ჩქარა, ჩამაცვით. ეს რაღაა? იკით-
 ხა ბავშვმა ტანისამოსის ასაწიძავ თანძებზედ.

— ეს უნდა გავიკეთო ტანისამოსის ზევიდამ ნიშნად თქვე-
 ნი მცირე-წლოვანებისა.

— არ გავიკეთებ მე ამას!

— მეფევე!

— არ გავიკეთებ, არა, არ მინდა, მომპორდით, დაიკარ-
 გენით ვეელანი ბჭედამ, მე ბაღში მინდა, წასვლა, გასპართან!
 ტიროდა, ვვიროდა უმაწვილი და თან ფეხებს აბრახუნებდა.

ოთახში მყოფთ ერთმანეთს უსიტვეოთ ცქერა დაუწევს.

აღმზრდელმა ქალმა მოახსენა:

თუ ეგრეა მამ და არ მიგონებთ, ერთი-ღა დამრჩენია:
 მიემართო ჰერცოგს. ამ სახელის გაგონებზედ უმაწვილი
 მსწრაფლ გაჩუმდა და ნება მისცა ჩაეცმიათ და გაეკეთებინათ,
 რაც უნდოდათ...

სასახლის სადარბაზო ოთახი ისე იყო გაწყვდილი ხალ-
 სით, რომ ვაშლი არსად ჩაგარდებოდა. თავი მოეყარნა ბქ
 საფრანგეთის მთელ თავადაზნაურობას; დღეს იყო მეფის ჰირ-
 ველი წარდგომა საზოგადოების წინაშე და საკვირველი არ
 იყო, რომ ხალხი ბლომად შეკრებილიყო. ვეელა მვირფას
 ტანისამოსში გამოწვობილიყო, ნამეტნავად ქალები. სადარბა-
 ზო ოთახის შუა ალაგი ცარიელი იყო, ხოლო მის გარშემო
 იდგნენ არჩეულნი საუკეთესო ჯარის კაცნი და ცოტა მოძო-
 რებით დამწკრივებულნი იუვენ მეფის ჰაეები. ჰატარა ლუის
 მოლოდინში დამსწრენი სმა-დაბლა ღაპარაკობდნენ, თან მოუთ-

მენლად კარებისკენ იუკრებოდნენ. აგერ გამოხნდა ჰოლმანობა
ლი ოქროს კვერთხით ხელში და დაიძახა:

მისი დიდებულება სელმწიფე! გამოხნდა ჰატარა ლუი ოქროსკედით ნაკურ სავერდის ტანისამოსში გამოწეობილი, კვერდზე ოქროს სმალი, ჰქონდა ჩამოკიდებული ძვირფასი ქვებით მოჭედილი. თავჩადუნული, დაღვრემილი მოდიოდა. დარბაზში მეოფთ ერთბაშად მდებლად სალაში მისცეს.

სელმწიფეო! უთხრა კარებშივე ჰერცოგ-დე ვილრუამ: ნუ ხართ მოწეხილი, უუურეთ ვეელას დიმილით და სალაძხედ ჰასუსი გაეცით. ბავშვმა თავი ძაღლად აიღო და თვალთმაქცური დიმილით, შლიანაზედ ოდნავ სელის შესებით, როგორც ასწავლეს წინა დღით, მიესალმა სტუმრებს. შემდეგ ავიდა იმისთვის მომხადებულ ალაგს და დადგა ერთ სავარძელთან. ჰერცოგი, სასახლის მოძღვარი და აღმზრდელი ქალი მოუდგნენ უკან. ესლაკი ვეელას კარგა შექმლო გაესინჯა ეს ჰატარა, საუცხოვო სილაძისის, ამაჟი შესედულების უმაწვილი; ოღონდ მის ნამტირალევი თვალები ატკიცებდნენ რომ ამ დიდებულ მბრძანებელსაც ჰქონდა თავისი ბავშვური დარდი და მწუსარება.

დაიწყო ცერემონია: სასახლის კაცნი სათითაოდ მიდიოდნენ მეფესთან და სელსე ემთხვეოდნენ; ქალები მდებლად თავს უკრავდნენ. ჰერცოგი სმაძალდა ასახელებდა კარისკაცთ.

მეფე უუურადებოდ ისმენდა ვეელაფერს.

— მის უწმინდესობის, ჰანის ელჩი, დაიძახა ჰერცოგმა.

უმაწვილი გაცოცხლდა და ცნობის მოვეარეობით დაწეო სინჯვა ასალგახდა, ლაძის გრავს, რომელიც მოწიწებით უხლოვდებოდა. ელჩს ორი კაცი მოსდევდა, და რაღაცა ბალიშით მოჰქონდათ, ძვირფასი საფარებლით გადაფარებული.

სწორეთ ის საჩუქრებია, გაიფიქრა ბავშვმა და ამ სუიქრით გატაცებულმა ალერსიანად გულისა ელჩს და თავიც-კი დაუკრა.



- თქვენო დიდებულებავ! ღირსეულად ბრძანდებოდნენ, მაგრამ ბავშვო ოთახში კი არ სართ, სასტიკად შენიშნა აღმსრდელმა ჰერცოგმა.

ელჩმა მუსლი მოიყარა და მიძრთა მეფეს ვრცელი სიტყვით, რომლისა ემაწვილს სრულებით არაფერი გაუგია; იმის ზაწია თავში სულ სხვა ფიქრები ირეოდა... არა მაიმუნი არ იქნება: ხომ ვერ დაეტეოდა ამ ზატარა ბაღიშსკად და არც ესე ჭკვიანად იჯდებოდა. არც ეტლსა ჰგავს, არც ნავს... მამ რა უნდა იეოს, ნეტავი?! ამ დროს ელჩმა დაბბოლოვა თავისი სიტყვა: მისმა უწმინდესობამ მოართვა თქვენ დიდებულებას... ანიშნა მოეტანათ ახლო ბაღიში, რომელსკად ლოცვანი და კრიანოსანი ეწეო.

სასახლის მოძღვარმა საჩქაროდ ჩამოართვა ლოცვანი, ემთხვია და ამთხვევინა მეფეს, შემდეგ კრიანოსანი გაუკეთა ეისერსკად.

ბავშვი გაუითრდა, ცრემლებით ავესო თვალები და წამოიძახა: საჩუქრები სადღაა?

ამ დროს ჰერცოგმა ისეთი თვალით შესკდა ემაწვილს, რომ ძალა-უნებურათ შეაწვევტინა სიტყვა.

სახეგარ საათის შემდეგ მეფეს მოართვეს ეტლი, თბილად ჩაფუფნეს და სასეირნოდ წაიყვანეს. თან ჰერცოგი ახლდა, აღმსრდელი ქალი და ორი მოსამსახურე. ეს იეო ზირველი სადღესასწაულო განსვლა მეფისა ქალაქში და აუბრებელ ხალხს მოეყარა თავი ქუჩებში. ქალი, კაცი, ეველას უნდოდა ზატარა მეფის დანახვა; ქუდ-მოხდილები ევირილით და კრიამულით ეკებებოდნენ მეფეს.

— უუურეთ, უუურეთ, დედა, განა არ სცივათ რომ ქუდ-მოხდილები დგანან, რატომ არ დანსურავენ? დეკითსა გაცებული ემაწვილი აღმსრდელ ქალს.

— თქვენი დიდებულების ზატეუ-საცემლად განლაგან, უპასუხა ქალმა. ბავშვი ცნობის მოეყარეობით და ალერსით უუუ-

რებდა ჰატარა ქალებს და ვაჟებს, რომელნიც სსკვებთა სსკვებთა
საღამს აძლევდნენ მას; მეფემაც შლიანის მოხდით განცდა
სუსნი.

თქვენო დიდებულებავ! შეჭვირა შემინებულმა ჰერცოგმა:
სელს ნუ ისლებთ შლიანსე, წესი არ არის.

ღმერთო ჩემო, საშინელებაა სწორედ, გაიფიქრა მწარედ
ბაღდა: მე ქუდი ვერ მომიხდია, იმათ კი ვერ დაუსურავთ!
როდის მოულება ბოლო იმ ტანჯვას? როდის გამოიშვებენ ბაღ-
ში?! ამ ფიქრებში გართული მეფე ასლა ჰარლამენტში მიიუ-
ვანეს.

გაუმარჯოს მეფეს, გაუმარჯოს ლუი მეთხუთმეტეს! გაისმა
ჰარლამენტის დარბაზში, როდესაც სელმი აუვანილი ჰატარა
სელმწიფე შეიკვანეს და სავარძელში ჩასვეს. ჰერცოგი დევილრუბ,
მოდგარბი და აღმსრდელი ქალი კვლავ უკან მოუდგნენ მეფეს.
ურიცხვმა პროცესიამ გაუარა წინ. ვრცელი, ბავშვისთვის გაუ-
კებარი სიტყვები მოახსენეს.

ბოლოს ჰერცოგმა წასწორნულა მეფეს:

— თქვენო დიდებულებავ, გადადგით წინ სამი ნაბიჯი და
ხმა-მაღლა ბრძანეთ, რაც წედან გასწავლეთ. ემაწვილი ადგა,
წადგა წინ და მორცხვად შემოავლო დარბაზს თვალი. უცებ
ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ იტყვიან, ბუზის ფრენასაც კი
გაიგებდა ადამიანი.— ჩვენ, ნებითა ღვთისათა, მეფე საფრან-
კეთისა და ბავარიისა, გავსდითრა შვიდის წელიც, ვაცხადებთ ჰერ-
ცოგ-ორლებანბლს სასელმწიფოს მმართველად ჩვენ სრულ-წლო-
ვანებამდის, თანახმად ჰარლამენტის დადგენილებისა.

— გაუმარჯოს მეფეს! გაისმა კვლავ აღტაცებული კიყინი,
რის შემდეგ ეველა აქ მოაფნი სათითაოდ მივიდნენ მეფესთან
სელსე სამთხვევლად. დაიწვეს ისევ დაუსრულებელ სიტყვათა
წარმოთქმა. დრო გამოშვებით სან ჰერცოგი, სან აღმსრდელი
ქალი ეურში ჩასწორნულებდნენ ბავშვს,— აძლევდნენ სსვა და
სსვა შენიშვნებს.



წესიერი ჯდომაცუკი არ იცით, უთხრა გაჯავრებულმა ცოლმა ჰატარს მეფეს, რომელიც თავ-ხალხული, ცოცხალი იჯდა და ბუტბუტებდა: ოჰ, ესაა რომ შექმდოს ბაღში წასვლა, ერთ წუთსაც არ გაუხრდებოდი აქ!

სრული საძი საათი გასტანა ამ კრებამ; საწვადი ბაგში ძლივს-ღა იჯდა სკამზე. ბოლოს როგორც იყო დასრულდა ექვლაფერი, მოართვეს მეფეს ეტლი; მკაცრი აღმსრდელი ჰერცოგი მოუჯდა თუ არა ბაგშეს გვერდით— მაძინვე სუვედური უთხრა: თქვენა დიდებულებავ, დღეს ძალიან ცუდად იქცეოდით! ამის ზასუსად კმაწვილმა თავი გადისარა აღმსრდელ ქალისკენ და იმავე წუთს სვრინვა ამოუშვა. ამ დროს საბრალთა ნაწვადლებ, თავისუფლებს მოკლებულ ფრინველს მოგაკანებდათ... სადღესასწაულო სადილს, რასაკველია, ვეღარ დაესწრო, და ჰერცოგმა ორ ლუბოლმა ბოდიში მოჭხადა სასოგადოების წინაშე. ამავე დროს სელში აკვანილი ჰატარს მეფე შეიუყანეს თავის ოთახში, ძლივ-ძლივობით დააღვევინეს ერთი ფინჯანი წვენი და შემდეგ უკვე მძახარე ჩააწვინეს ლოკინში.

ქეთო ზარაფიშვილი.





სახალისო სამუშაო და გასართობი

ღამთაღამოვანი ზოლი

ორ-სელმუბა, ორუბ ძაფსუდ, რომელსაც ორივ თავი გამო-
ნასკული აქვს, და გადაკიდულია ცერებსუდ. მომწვედუელია
რგოლი; ისე უნდა განთავისუფლოთ ეს რგოლი, რომ ძაფს
არა აწნოთ რა, და არც ცერს გადააძროთ.

ამის მოხერხება ძრიელ ძნელია იმისთვის, ვინც არ იცის
ამის ხერხი. შეიძლება თქვენ თვალ წინ, მცოდნემ გადაკეთოს,
გინჯუნოს, მაგრამ თუ კი არ აგისხნათ მისი საიდუმლო, მაინც
ვერას მიუხედავებით, და გაძტერებულიც დარჩებით, რადგან ერთი
შესედეით, საკვირველი რამაა.

ტყვე-რგოლის განთავისუფლება ამ გვარად შეიძლება.

იხილეთ სურათი № 1 მოჭკიდეთ თქვენი მარჯვენა ხელი
იქ საცა აწერია „მარჯვენა“ და მარცხენაც, საცა — „მარცხენა.“
მერძედ მარჯვენა ხელი ჩამოხწით ძირს (სურათი № 2) და
მარცხენა ხელით ძაფი, საცა აწერია „ბ“ გადაადგეთ ცერსუდ,
რომელსუდაც ძაფი მომწვედუელ რგოლით ჰკიდია ისე რომ
ასო „ბ“ მეორე ასო „ბ“ (ეს მეორე „ბ“ ცერსუდ აწერია)
შეუერთდეს. უშვით მარცხენა ხელი მარჯვენა კი გეკავოთ.

მერძედ მარცხენა ხელით აიღეთ ზემო ძაფი, საცა დახა-
ტულია სურათი № 2-სუდ ისარი და სუდ აწერია ასო „ა“
წაიღეთ და ესეც იმავე ცერსუდ გადაადგეთ (ნახე სურათი № 3
და აქვე აღნიშნულნი ისრები და ასოები „ა“). განსოვდეთ,
მარჯვენა ხელით ჯერ კიდევ გეკავიათ ძაფი, როგორც სურთში
№ 2 არის მოკვანილი. ეხლა გაუშვით მარჯვენა ხელი და
მოჭკიდეთ მაგრამ რგოლს და ჩამოხწიეთ ხელ-სეკა; ნახეთ,






რომ თქვენ და ძეურებლების გასაკვირვებლად, ტყვეობიდან განთავისუფლებს.

სურათი № 3-სკდ ძეურებსკდ დანიმხული სძი ჯვარი + + + არის ძარჯვენა ღიანდაგი, და ა ა ა — ძარცხენა.

ძველია განთავისუფლება ტყვეობიდან რგოლის, თუ აძის სურხი არ იცით და არ გაქვთ იძისი ძნო.

3. 6.





შ ა რ ა ლ ა

ურინველი ვარ გარეული,
მქვინან მოკლე სახელიო!
იძვითად თუ ვინმეა
დღისით ჩემი მნახველიო.

მომეც რიცხვი და თანხმობის
სიტყვებ გამოძნატველიო, —
მაშინ ზირუტყვი გავსდები,
ზოგ საღვინებან მრახულიო.

ხ ა ლ ხ უ რ ი

წარმოღვნილი ესთკა კიკინაძისაგან.

კიულიყო, ძამალო
ორ ღობესა ჩაკელო,
შენი თავაკურტუმ-ბარკალი
დავით მეფეს მივართვი.
დავით მეფემ დამიწუნა,
გიორგი მეფეს მივართვი;
გიორგი მეფემ დამიწუნა,
ბებია ჩემს მივართვი,
ბებია მ დამიწუნა,
ბიბა ჩემს მივართვი;
ბიბიამ ცხენი მარუქა,
ავაჭენე, დავაჭენე,
ცხრა ქალაქი ჩავაჭენე,
ცხრა ქალაქის ბოლოსა
ვირი ჭამდა ბაღასსა.
ვირო, ვინა ბაღასი?
ასიასის, მასიასის,
გადმოური კაციასის,

გდმოურმა კბცინაბ
ძბღლი მომისისინაბ,
ვერც შემჭაბა, ვერც ძიკბინაბ,
ტევილა დამსისსლინაბ
წებღში ფეხი ჩამივბრდა
წმინდა ქაღაბმინანი,
ჩავებრ სელი ბმოვილე
ორბეკული ფრთინანი.

აზუნა

შეთერთმეტე ნომერში მოთავსებული გამოცანა-არის 1, კულა,
2) სიო, 3) პირი და თითები.

რებუსი: „უაულო ხარი თავისთვის არ იყო, სხვებს ბუფებს
უბერებდაო“.

ეს სურათი XI ნომერში მოთავსებულ მინდორში სათამაშო
„ქილის“ ახსნაა.





პატარა მკითხველის წერილები

ბავშრა „ნაკადულის“ რედაქციას.

როცა მოგვივა ნაკადული, მე, ჩემი ძმა სალიკო და ჩემი და მათიკო სიამოვნებით ვკითხულობთ სოლმე. ნაკადულს გვიკითხავს ხან ძამა, ხან დედა და ხან მე ვკითხულობ. მე მომეწონა აკაკის ლექსი „მკელი“ სალიკოს—„დედის გული“: მათიკოს—„წერილი ფუფუნასთან“ საფსულში, როცა სოფელში ვართ სოლმე, გამოცანას და ლექსებს ვკრიბავთ ეს ძამამ გვასწავლა. მე ძარძან ეს გამოცანები ძველებზე ძორაზნის ძაზრის სოფელ კვლითში; გიკზავნით. თუ ამას დაბეჭდავთ, ძერე კიდევ გამოძიკზავნით.

ერთი რამეა უსულო,
უხინარი და ფრთხანი;
სოკჯერ ნატრობენ მოსვლასა,
სოკჯერ უქნია ზიანი;
სღვასა და სმელსა მოიბრეკს,
ვერ დაიკავებს ტვიანი,
ძას კაცი ვერ შეხერებს
ამოდებული სმლიანი.

თქვენი პატარა მკითხველი **შალიკო ხუხკივაძე**.

ქნხო რედაქტორნხო! მე ქუთაისის საქმარქიო სასწავლებლის ძეორე კლასის ძოწაფემ, იულია კანდელაკის ასულმა, გამოვიცანი ქურნალ „ნაკადულის“ დეკემბრის და იანვრის ნომრებში ძოთა-ვისებული რებუსები.

დეკემბრისაში

„დძერთო მოძეც სწავლის ნიჭი,
მოძეც ძალა და ძხნეობა,
რომ ვისწავლო და იმ სწავლით,
ძამულს ძიუცე შეძწეობა!“



იანვრისაში

„ბატარა ხორხო ქართველო, გადიკითხე ნაკადული,
როცა თვალწინ დანახო სურათებით მოკაზმული,
ეს არს შენი მეგობარი ჩაიკარი ტკბილად გულში,
ეველგან გისამს ერთგულობას წუქანსა და სისარულში.“

იულია კანდელაკი

„დემერთო მომეც სწავლის ნიჭი,
მომეც ძალა და მხნეობა,
რომ ვისწავლო და იმ სწავლით,
მამულს მივუცე შემწეობა!“

ეს რებუსი, მოთავსებული ჟურნალ ნაკადულის მეორე ნომერში,
წავიკითხე მე, მეორე გიმნაზიის მეორე კლასის მოწაფემ.

ევგენ ქარუშიძე.

ახსნა რებუსისა „ნაკადულის“ შესაძე ნომერში მოთავსე-
ბულისა.

„ბატარა ხორხო ქართველო გადიკითხე ნაკადული,
როცა თვალწინ დანახო სურათებით მოკაზმული,
ეს არს შენი მეგობარი ჩაიკარი ტკბილად გულში,
ეველგან გისავს ერთგულებას წუქანსა და სისარულში.“

უფალო რედაქტორო! თუ ეს ახსნა ეთანსმება ნამდვილს,
გთხოვთ გამოაცხადოთ ჩემი ვინაობა.

ოელავის წმინდა ნინოს სასწავლებლის მოსწავლე

სონა შიუკაშვილი.

ბატონო რედაქტორო! მოხრდილთათვის შესაძე ნომრის
„ნაკადულში“ ავსსენი რებუსი:

„ბატარა ხორხო ქართველო გადიკითხე ნაკადული,
როცა თვალწინ დანახო სურათებით მოკაზმული,
ეს არის შენი მეგობარი ჩაიკარი ტკბილად გულში,
ეველგან გისამს ერთგულობას, წუქანსა და სისარულში.“

თამარა ყიფშიძე.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

